პროლეტარეთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 260 (18502) პარასკევი, 12 ნოემბერი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა ძვირფასი მამული დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა ლენინის დიადი საქმის ერთგული განმგრძობი, მგზნებარე პატრიოტი, გამოჩენილი რევოლუციონერი და მშვიდობისათვის, კომუნიზმისათვის მებრძოლი, თანამედროვეობის უთვალსაჩინოესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ლ. ი. ბრეჟნევის მთელი მრავალმხრივი მოღვაწეობა, პირადი ბედი განუყოფელია საბჭოთა ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპებისაგან. კოლექტივიზაცია და ინდუსტრიალიზაცია, დიდი სამამულო ომი და ომისშემდგომი აღორძინება, ყამირის ათვისება და კოსმოსის კვლევის ორგანიზაცია — ყოველივე ეს მუშათა კლასის სახელოვანი შვილის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბიოგრაფიის ნიშანსვეტებია. ყველგან, სადაც უნდა გაეგზავნა იგი პარტიას, ლეონიდ ილიას ძე თავდადებით, მისთვის ჩვეული ენერგიითა და სიმტკიცით, გაბედულებითა და პრინციპულობით იბრძოდა მისი დიადი იდეალებისათვის.

ამხანაგ ბრეჟნევის სახელს, მის დაუცხრომელ მუშაობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტებზე საბჭოთა ადამიანები, ჩვენი მეგობრები მთელ მსოფლიოში სამართლიანად უკავშირებენ პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმების თანამიმდევრულ დამკვიდრებას, სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფას. იგი ბრძნულად წარმართავდა პარტიის ლენინური შტაბის — მისი ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საქმიანობას, გვიჩვენებდა ერთსულოვანი კოლექტიური მუშაობის უნარიანი ორგანიზაციის მაგალითს. მას ეკუთვნის უთვალსაჩინოესი როლი განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე პარტიის ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების კურსის განსაზღვრასა და რეალიზაციაში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში.

წარუვალია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დამსახურება საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი პარტიის პოლიტიკის — მშვიდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების, იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკების მტკიცედ უკუგდების, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილების პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. დიდია მისი წვლილი მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირებაში, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარებაში.

სანამ ლეონიდ ილიას ძის გული ძგერდა, მისი ფიქრები და საქმეები მთლიანად ექვემდებარებოდა მშრომელი ადამიანების ინტერესებს. მშრომელთა მასებთან იგი მუდამ იყო განუყრელად დაკავშირებული. კომუნისტთა, ყველა კონტინენტის ასობით მილიონი ადამიანის შეგნებაში იგი იყო და დარჩება ლენინური იდეურობის, თანამიმდევრული ინტერნაციონალიზმის, რევოლუციური ოპტიმიზმისა და ჰუმანიზმის განსახიერებად.

მძიმეა ჩვენი დანაკლისი, დიდია ჩვენი მწუხარება. ამ გლოვის ჟამს საბჭოთა კავშირის კომუნისტები, ყველა მშრომელი სულ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის, მისი ხელმძღვანელი ბირთვის გარშემო, რომელიც ჩამოყალიბდა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის კეთილნაყოფიერი გავლენით. ხალხს სჯერა პარტიის, მისი მძლავრი კოლექტიური გონებისა და ნების, მთელი გულით უჭერს მხარს მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან: ლენინის დროშა, ოქტომბრის დროშა, რომლითაც მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი მოგებულთ, საიმედო ხელშია.

პარტია და ხალხი შეიარაღებული არიან სკკპ XXIII-XXVI ყრილობების მიერ შემუშავებული კომუნისტური აღმშენებლობის დიდებული პროგრამით. ეს პროგრამა განუხრელად ხორციელდება. პარტია კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს წარმოების ინტენსიფიკაციის, მისი ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების, სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის შესრულების საფუძველზე ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. პარტია კვლავაც ყოველნაირად იზრუნებს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის კავშირის განმტკიცებისათვის, საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობის, სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა იდეოლოგიური წრთობისათვის.

უცვლელია საბჭოთა ხალხის ნება მშვიდობისადმი. არა ომისათვის მზადება, რომელიც ხალხებს თავის მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეთა უმიზნო ხარჯვას უქადის, არამედ მშვიდობის განმტკიცება — აი ხვალინდელი დღის შუქურვარსკვლავი. ამ კეთილშობილური იდეით არის გამსჭვალული ოთხმოციანი წლების სამშვიდობო პროგრამა, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მთელი საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა.

ჩვენ ვხედავთ საერთაშორისო ვითარების მთელ სირთულეს, იმპერიალიზმის აგრესიული წრეების ცდებს ძირი გამოუთხარონ მშვიდობიან თანაარსებობას, უბიძგონ ხალხებს მტრობისა და სამხედრო კონფრონტაციის გზისაკენ. მაგრამ ეს ვერ შეარყევს ჩვენს მტკიცე გადაწყვეტილებას დავიცვათ მშვიდობა. ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა სამხედრო ავანტიურების მოყვარულებმა საბჭოთა ქვეყანას მოუმზადებელს არ მოუსწრონ, რომ პოტენციურმა აგრესორმა იცოდეს: მას გარდაუვალად ელის გამანადგურებელი საპასუხო დარტყმა.

საბჭოთა კავშირი, რომელიც ეყრდნობა თავის ძლიერებას, იჩენს უდიდეს სიფხიზლესა და თავდაჭერილობას, უცვლელ ერთგულებას თავისი საგარეო პოლიტიკის მშვიდობისმოყვარული პრინციპებისა და მიზნებისადმი, შეუპოვრად იბრძოლებს იმისათვის, რომ კაცობრიობას თავიდან აიცილოს ბირთვული ომის საფრთხე, იბრძოლებს დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისათვის.

ამ ბრძოლაში ჩვენთან ერთად არიან მოძმე სოციალისტური ქვეყნები, ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლები, ყველა კონტინენტის მშვიდობისმოყვარე ქვეყნები, მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი. მშვიდობის პოლიტიკა გამოხატავს კაცობრიობის ძირეულ საარსებო ინტერესებს, და ამიტომაც მომავალი ასეთ პოლიტიკას ეკუთვნის.

საბჭოთა ხალხს პარტია მიაჩნია თავის ნაკად კოლექტიურ ბელადად, ბრძენ ხელმძღვანელად და ორგანზატორად. მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის სამსახური პარტიის მთელი საქმიანობის უმაღლესი მიზანი და აზრია. პარტიისა და ხალხის ურყევი ერთიანობა იყო და არის საბჭოთა საზოგადოების უდრეკი ძალის წყარო. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თვალსაჩინოვით უფრთხილდება მშრომელთა ნდობას, დღენიადაგ განამტკიცებს თავის კავშირს მასებთან. ხალხი პრაქტიკულად დარწმუნდა, რომ ჩვენი პარტია მოვლენების ყოველი შემობრუნების დროს, ყოველი განსაცდელის დროს თავისი ისტორიული მისიის სიმაღლეზე რჩება. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხელმძღვანელობით შემუშავებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა კვლავაც თანამიმდევრულად და მიზანდასახულად განხორციელდება.

ლ. ი. ბრეჟნევის ცხოვრება და მოღვაწეობა მუდამ იქნება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი ერთგული სამსახურის შთამაგონებელი მაგალითი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი გამოიჩენენ მაღალ შეგნებასა და ორგანიზებულობას, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებული შემოქმედებითი შრომით უზრუნველყოფენ კომუნისტური მშენებლობის გეგმების შესრულებას, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

მ ი მ ა რ თ ვ ა

კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა ლენინის დიადი საქმის ერთგული განმგრძობი, მგზნებარე პატრიოტი, გამოჩენილი რევოლუციონერი და მშვიდობისათვის, კომუნიზმისათვის მებრძოლი, თანამედროვეობის უთვალსაჩინოესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ლ. ი. ბრეჟნევის მთელი მრავალმხრივი მოღვაწეობა, პირადი ბედი განუყოფელია საბჭოთის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპებისაგან. კოლექტივიზაცია და ინდუსტრიალიზაცია, დიდი სამამულო ომი და ომისშემდგომი აღორძინება, ყამირის ათვისება და კოსმოსის კვლევის ორგანიზაცია — ყოველივე ეს მუშათა კლასის სახელოვანი შვილის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბიოგრაფიის ნიშანსვეტებია. ყველგან, სადაც უნდა გაეგზავნა იგი პარტიას, ლეონიდ ილიას ძე თავდადებით, მისთვის ჩვეული ენერგიითა და სიმტკიცით, გაბედულებითა და პრინციპულობით იბრძოდა მისი დიადი იდეალებისათვის.

ამხანაგ ბრეჟნევის სახელს, მის დაუცხრომელ მუშაობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტებზე საბჭოთა ადამიანები, ჩვენი მეგობრები მთელ მსოფლიოში სამართლიანად უკავშირებენ პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმების თანამიმდევრულ დამკვიდრებას, სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფას. იგი ბრძნულად წარმართავდა პარტიის ლენინური შტაბის — მისი ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საქმიანობას, გვიჩვენებდა ერთსულოვანი კოლექტიური მუშაობის უნარიანი ორგანიზაციის მაგალითს. მას ეკუთვნის უთვალსაჩინოესი როლი განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე პარტიის ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების კურსის განსაზღვრასა და რეალიზაციაში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში.

წარუვალია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დამსახურება საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი პარტიის პოლიტიკის — მშვიდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების, იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკების მტკიცედ უკუგდების, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილების პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. დიდია მისი წვლილი მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირებაში, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარებაში.

სანამ ლეონიდ ილიას ძის გული ძგერდა, მისი ფიქრები და საქმეები მთლიანად ექვემდებარებოდა მშრომელი ადამიანების ინტერესებს. მშრომელთა მასებთან იგი მუდამ იყო განუყრელად დაკავშირებული. კომუნისტთა, ყველა კონტინენტის ასობით მილიონი ადამიანის შეგნებაში იგი იყო და დარჩება ლენინური იდეურობის, თანამიმდევრული ინტერნაციონალიზმის, რევოლუციური ოპტიმიზმისა და ჰუმანიზმის განსახიერებად.

მძიმეა ჩვენი დანაკლისი, დიდია ჩვენი მწუხარება. ამ გლოვის ჟამს საბჭოთა კავშირის კომუნისტები, ყველა მშრომელი სულ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის, მისი ხელმძღვანელი ბირთვის გარშემო, რომელიც ჩამოყალიბდა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის კეთილნაყოფიერი გავლენით. ხალხს სჯერა პარტიის, მისი მძლავრი კოლექტიური გონებისა და ნების, მთელი გულით უჭერს მხარს მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან: ლენინის დროშა, ოქტომბრის დროშა, რომლითაც მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი მოგებულთ, საიმედო ხელშია.

პარტია და ხალხი შეიარაღებული არიან სკკპ XXIII-XXVI ყრილობების მიერ შემუშავებული კომუნისტური აღმშენებლობის დიდებული პროგრამით. ეს პროგრამა განუხრელად ხორციელდება. პარტია კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს წარმოების ინტენსიფიკაციის, მისი ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების, სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის შესრულების საფუძველზე ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. პარტია კვლავაც ყოველნაირად იზრუნებს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის კავშირის განმტკიცებისათვის, საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობის, სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა იდეოლოგიური წრთობისათვის.

უცვლელია საბჭოთა ხალხის ნება მშვიდობისადმი. არა ომისათვის მზადება, რომელიც ხალხებს თავის მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეთა უმიზნო ხარჯვას უქადის, არამედ მშვიდობის განმტკიცება — აი ხვალინდელი დღის შუქურვარსკვლავი. ამ კეთილშობილური იდეით არის გამსჭვალული ოთხმოციანი წლების სამშვიდობო პროგრამა, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მთელი საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა.

ჩვენ ვხედავთ საერთაშორისო ვითარების მთელ სირთულეს, იმპერიალიზმის აგრესიული წრეების ცდებს ძირი გამოუთხარონ მშვიდობიან თანაარსებობას, უბიძგონ ხალხებს მტრობისა და სამხედრო კონფრონტაციის გზისაკენ. მაგრამ ეს ვერ შეარყევს ჩვენს მტკიცე გადაწყვეტილებას დავიცვათ მშვიდობა. ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა სამხედრო ავანტიურების მოყვარულებმა საბჭოთა ქვეყანას მოუმზადებელს არ მოუსწრონ, რომ პოტენციურმა აგრესორმა იცოდეს: მას გარდაუვალად ელის გამანადგურებელი საპასუხო დარტყმა.

საბჭოთა კავშირი, რომელიც ეყრდნობა თავის ძლიერებას, იჩენს უდიდეს სიფხიზლესა და თავდაჭერილობას, უცვლელ ერთგულებას თავისი საგარეო პოლიტიკის მშვიდობისმოყვარული პრინციპებისა და მიზნებისადმი, შეუპოვრად იბრძოლებს იმისათვის, რომ კაცობრიობას თავიდან აიცილოს ბირთვული ომის საფრთხე, იბრძოლებს დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისათვის.

ამ ბრძოლაში ჩვენთან ერთად არიან მოძმე სოციალისტური ქვეყნები, ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლები, ყველა კონტინენტის მშვიდობისმოყვარე ქვეყნები, მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი. მშვიდობის პოლიტიკა გამოხატავს კაცობრიობის ძირეულ საარსებო ინტერესებს, და ამიტომაც მომავალი ასეთ პოლიტიკას ეკუთვნის.

საბჭოთა ხალხს პარტია მიაჩნია თავის ნაკად კოლექტიურ ბელადად, ბრძენ ხელმძღვანელად და ორგანზატორად. მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის სამსახური პარტიის მთელი საქმიანობის უმაღლესი მიზანი და აზრია. პარტიისა და ხალხის ურყევი ერთიანობა იყო და არის საბჭოთა საზოგადოების უდრეკი ძალის წყარო. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თვალსაჩინოვით უფრთხილდება მშრომელთა ნდობას, დღენიადაგ განამტკიცებს თავის კავშირს მასებთან. ხალხი პრაქტიკულად დარწმუნდა, რომ ჩვენი პარტია მოვლენების ყოველი შემობრუნების დროს, ყოველი განსაცდელის დროს თავისი ისტორიული მისიის სიმაღლეზე რჩება. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხელმძღვანელობით შემუშავებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა კვლავაც თანამიმდევრულად და მიზანდასახულად განხორციელდება.

ლ. ი. ბრეჟნევის ცხოვრება და მოღვაწეობა მუდამ იქნება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი ერთგული სამსახურის შთამაგონებელი მაგალითი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი გამოიჩენენ მაღალ შეგნებასა და ორგანიზებულობას, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებული შემოქმედებითი შრომით უზრუნველყოფენ კომუნისტური მშენებლობის გეგმების შესრულებას, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარდაცვალებასთან დაკავშირებით 1982 წლის 12, 13, 14 და 15 ნოემბერს ქვეყანაში გამოცხადდეს გლოვა.

დაკრძალვის დღეს დაწყებითის, რვაწლიან და საშუალო სკოლებში მეცადინეობა არ ჩატარდეს.

2. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დაკრძალვის მომენტში მიცემულ იქნეს ქვემეხის ზალპები მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში გმირ ქალაქებში, ლენინგრადში, ვოლგოგრადში, ოდესაში, სევასტოპოლში, ნოვოროსიისკში, ციხეში, ტულაში, გმირ ციხესიმაგრე ბრესტში, აგრეთვე ქალაქებში კალინინგრადში, ლვოვში, დონის როსტოვში, კუიბიშევში, სვერდლოვსკში, ნოვოსიბირსკში, ჩიტაში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკში, სევერომორსკში, დნეპროპეტროვსკში, ზაპოროჟიეში და დნეპროძერჟინსკში.

ამავე დროს ხუთი წუთით შეჩერდეს საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის მუშაობა უწყვეტი წარმოების საწარმოთა გარდა; სამი წუთის განმავლობაში მიცემულ იქნეს სალუტი საყვირებით ფაბრიკებში, ქარხნებში, რკინიგზებზე, საზღვაო და სამდინარო ფლოტის გემებზე.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინეს:

1. შეიქმნას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დამკრძალავი კომისია შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: ი. ვ. ანდროპოვი (თავმჯდომარე), მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. ი. პელშე, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, კ. უ. ჩერნენკო, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, მ. ვ. ზიმიანინი, ა. ს. ალექსანდროვი, ს. ა. შალაევი, ბ. ნ. პასტუხოვი, ნ. ნ. ბლოხინი, გ. მ. მარკოვი, ტ. ნ. ხრენიკოვი, ნ. ა. პონომარიოვი, ს. თ. ბონდარჩუკი, ვ. ვ. ტერეშკოვა, გ. ტ. ბერეგოვოი, ჯ. ფ. გორდიენკო, ვ. ა. სმირნოვი, ვ. ნ. გოლუბევა, ა. ვ. გიტალოვი.

2. დაიკრძალოს ლ. ი. ბრეჟნევი წითელ მოედანზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დაკრძალვის კომისიისაგან

კომისია იუწყება, რომ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ცხედარი დასვენებული იქნება კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში 1982 წლის 12 ნოემბერს.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევთან გამოსათხოვებლად სვეტებიანი დარბაზში მშრომელებისათვის ღია იქნება მიმდინარე წლის 12 ნოემბერს 13 საათიდან 22 საათამდე; 13 და 14 ნოემბერს — დილის 9 საათიდან 22 საათამდე.

სამედიცინო დასკვნა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ავადმყოფობისა და სიკვდილის მიზეზის შესახებ

ლ. ი. ბრეჟნევს, დაბადებულს 1906 წელს, სჭირდა აორტის ათეროსკლეროზი მისივე ანევრიზმის განვითარებით მუცლის ნაწილში, კორონარული არტერიების მასტენოზირებული ათეროსკლეროზი, გულის იშემიური დაავადება რიტმის დარღვევებით, მიოკარდის ნაწიბუროვანი ცვლილებებით გადატანილი ინფარქტების შედეგ.

1982 წლის 10 ნოემბერს 8-დან 9 საათამდე მონაკვეთში გული უეცრად გაჩერდა.

პათოლოგიურ-ანატომიურმა გამოკვლევამ დიაგნოზი მთლიანად დაადასტურა.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული მეოთხე მთავარი სამმართველოს უფროსი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის და სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი ე. ჩაზოვი; სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი ე. შ�დინი; მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწე, პროფესორი ვ. პოპოვი; სსრ კავშირის მედიცინის - მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ვ. სმაბინი; სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ა. ჩუჩალინი; სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი ნ. ანანიევი; ბიოქიმიკოსი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ა. ბოსტანეანი; მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ი. პოსტნოვი.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი

1982 წლის 10 ნოემბერს სამოცდათხუთმეტი წლისა უეცრად გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ოთხგზის საბჭოთა კავშირის გმირი და სოციალისტური შრომის გმირი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. ჩვენს რიგებს გამოაკლდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, თვალსაჩინო თეორეტიკოსი და ნიჭიერი ორგანიზატორი. მთელი მისი დიდი, შინაარსიანი ცხოვრება უკლებლივ მოხმარდა ოქტომბრის დიად საქმეს, ლენინის პარტიას, მშრომელი ხალხის ინტერესებს, კომუნიზმის მშენებლობას.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი დაიბადა 1906 წლის 19 დეკემბერს, ქალაქ დნეპროძერჟინსკში, მეტალურგი მუშის ოჯახში. თხუთმეტი წლის ჭაბუკი სამუშაოდ წავიდა მეტალურგიულ ქარხანაში, სადაც დიდსა და სახელოვან შრომით კოლექტივში მიიღო მუშური წრთობა. ჩვიდმეტი წლისა ლ. ი. ბრეჟნევი შევიდა კომკავშირში, ხოლო 1931 წელს გახდა კომუნისტური პარტიის წევრი.

ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევი მიწათმომწყობად მუშაობდა კურსკის გუბერნიაში, ბელორუსიასა და ურალში. აქ მან შეიყვარა მიწა, ძნელი და ადამიანებისათვის მეტად საჭირო გლეხკაცის შრომა.

მშობლიურ ქალაქში დაბრუნების შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევი სასწავლებლად შევიდა მეტალურგიულ ინსტიტუტში, სადაც ამავე დროს ასრულებდა პასუხსაგებ პარტიულ და საზოგადოებრივ დავალებებს—იყო ფაკულტეტის პარტკომის მდივანი, პროფკომის თავმჯდომარე, მერე კი ინსტიტუტის პარტკომის მდივანი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქარხანაში, ჯარში მსახურობდა იმიერბაიკალში, იყო საბჭოთა და პარტიულ სამუშაოზე.

1939 წელს ლ. ი. ბრეჟნევი აირჩიეს პარტიის დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის მდივნად, სადაც დიდ მუშაობას ეწეოდა სამხედრო ტექნიკის წარმოების ორგანიზაციისათვის.

დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ლ. ი. ბრეჟნევი მოქმედ არმიაშია. ძნელი საფრონტო გზებით იარა მან, მეომარმა, კომუნისტმა, პოლიტმუშაკმა, ნოვოროსიისკიდან პრაღამდე. სამხრეთის ფრონტის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილედ, შემდეგ მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსად, მე-4 უკრაინის ფრონტის პოლიტსამმართველოს უფროსად ყოფნისას იგი მონაწილეობდა საბჭოთა არმიის მთელი რიგი დიდი ოპერაციების შემუშავებასა და განხორციელებაში კავკასიაში, შავიზღვისპირეთის ზონაში, ყირიმში, უკრაინაში, მონაწილეობას იღებდა ფაშისტ დამპყრობთაგან ევროპის ქვეყნების ხალხების განთავისუფლებაში.. კომისარ ბრეჟნევის სახელთან დაკავშირებულია საბჭოთა მეომრების უმაგალითო გმირობა მცირე მიწაზე. მოსკოვში გამართულ გამარჯვების პარადზე ლ. ი. ბრეჟნევმა ნაკრები პოლკის კომისრად დაამთავრა თავისი საფრონტო გზა.

1946 წელს ლ. ი. ბრეჟნევი აირჩიეს უკრაინის კპ (ბ) ზაპოროჟიის, შემდეგ კი დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტების პირველ მდივნად. მისი უშუალო ხელმძღვანელობით აღდგენილია ჩვენი ინდუსტრიის გიგანტები — ზაპოროჟფოლადი, დნეპრგესი, დნეპროპეტროვსკისა და ნიკოპოლის მეტალურგიული ქარხნები, კრივოი როგის მაღაროები.

1950-1952 წლებში ლ. ი. ბრეჟნევი მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანია. მან ბევრი რამ გააკეთა იმხანად ამ ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მოკავშირე რესპუბლიკის მრეწველობის განვითარებისათვის, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისა და კულტურის აღმავლობისათვის.

1954 წელს ლ. ი. ბრეჟნევი აირჩიეს ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად, ხოლო 1955 წელს — პირველ მდივნად. იგი მთელ თავის ძალ-ღონეს ახმარდა ყამირის ათვისებას, იყო ყაზახეთის ხვავიანი პურისათვის გაჩაღებული დიდი ბრძოლის მონაწილეთა პირველ რიგებში. და ის, რომ ეს ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდა, რომ ყაზახეთი სამშობლოს ერთ-ერთი მთავარი ბეღელი გახდა, ლ. ი. ბრეჟნევის წარუვალი დამსახურებაა.

პარტიის XIX და მომდევნო ყრილობებზე ლ. ი. ბრეჟნევს ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად. იგი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი (1956-1957 წლებში), სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი (1957-1966 წლებში), ხოლო 1966 წლიდან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი. 1958-1966 წლებში იგი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს წევრი, ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე და თავმჯდომარე.

ლ. ი. ბრეჟნევი იყო სსრ კავშირის მესამე-მეათე მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რუსეთის სფსრ მეხუთე-მეათე მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მოლდავეთის სსრ მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს და ყაზახეთის სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი (1965-1977 წლებში), სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე (1960-1964 წლებში და 1977 წლიდან).

1964 წელს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევი აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად, ხოლო 1966 წელს — გენერალურ მდივნად. მის დაუცხრომელ თეორიულ, პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მოღვაწეობასთან განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემდგომი განვითარება და განმტკიცება. ურყევად იცავდა რა ვ. ი. ლენინის მოძღვრებასა და ანდერძს, იგი დაუცხრომლად ზრუნავდა იმისათვის, რომ პარტია სულ უფრო სრულად ახორციელებდეს საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელისა და წარმმართველის, მილიონიანი მასების ალმშენებლობითი შემოქმედების ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის, საბჭოთა ხალხის პოლიტიკური ავანგარდის როლს.

ლ. ი. ბრეჟნევს ფასდაუდებელი დამსახურება მიუძღვის პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და ხელმძღვანელობის პრინციპების აღდგენაში, განმტკიცებასა და განვითარებაში, მასებთან პარტიის კავშირის გაძლიერებაში. როგორც ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, მან უზრუნველყო ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს ერთსულოვანი, კოლექტიური მუშაობა. ლ. ი. ბრეჟნევი ბევრ ყურადღებას უთმობდა რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონული და პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის სრულყოფას.

ლ. ი. ბრეჟნევმა უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელებაში. პარტიის ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკას საფუძვლად დაედო სკკპ XXIII-XXVI ყრილობების პრინციპული მითითებანი განვითარებული სოციალიზმის მშენებლობისა და კომუნიზმზე გადასვლის შესახებ. სოციალისტური ინდუსტრიის განვითარების, აგრარული პოლიტიკის პრობლემები, რომლის მნიშვნელოვანი რგოლია სასურსათო პროგრამა, წარმოების ეფექტიანობის, მისი ინტენსიფიკაციის ამაღლების, საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის პრობლემები — ყველა ეს საკითხი შემოქმედებითად დაამუშავეს პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

ლ. ი. ბრეჟნევი იყო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე, და მისი მოხსენების მიხედვით სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ საყოველთაო-სახალხო განხილვისა და მოწონების შემდეგ 1977 წელს მიიღო სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, რომელმაც ახალი მძლავრი იმპულსი მიანიჭა სოციალისტური დემოკრატიის განვითარებას. მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო ლ. ი. ბრეჟნევის მოღვაწეობა საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე. იგი ხელს უწყობდა სახალხო ხელისუფლების ორგანოების ავტორიტეტის ამაღლებას, მათი მუშაობის სრულყოფას.

ხალხის გმირული შრომით შეიქმნა განვითარებული სოციალიზმის მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევებისა და სოციალიზმის უპირატესობათა შერწყმა საშუალებას გვაძლევს უზრუნველვყოთ პროგრესი ეკონომიკის ყველა დარგში. პარტია და სახელმწიფო ყოველდღიურად ზრუნავენ ხალხის კეთილდღეობისათვის, მისი მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის. ლ. ი. ბრეჟნევი დიდ ყურადღებას უთმობდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, შრომის ნაყოფიერების ზრდის, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემებს, ციმბირისა და შორეულ აღმოსავლეთის საწარმოო ძალების განვითარებას, კოსმოსის ათვისებას.

ლ. ი. ბრეჟნევი დიდად ზრუნავდა პარტიის მიერ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების განვითარების, მისი შემოქმედებითი გამოყენებისათვის. მედგარმა მარქსისტ-ლენინელმა, მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მეცნიერული კომუნიზმის თეორიაში, მომწიფებული სოციალიზმის, მისი შემდგომი სრულყოფისა და განვითარების გზების შესახებ მოძღვრების შემუშავებაში.

ლ. ი. ბრეჟნევი მრავალი წლის მანძილზე მეთაურობდა სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს, ყოველდღიურად ზრუნავდა საბჭოთა შეიარაღებული ძალებისათვის, რომლებიც საიმედოდ იცავენ საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომას და ქვეყნად საყოველთაო მშვიდობის ბურჯს წარმოადგენენ. მას მიენიჭა საბჭოთა კავშირის მარშლის უმაღლესი სამხედრო წოდება.

ეყრდნობოდა რა ლენინის მემკვიდრეობას, ლ. ი. ბრეჟნევი ღრმად აანალიზებდა საერთაშორისო მდგომარეობას, ძალების განაწილებას მსოფლიო ასპარეზზე, მსოფლიო თერმობირთვული ომის თავიდან აცილების კონკრეტულ გზებს. ლ. ი. ბრეჟნევის შრომებს ომისა და მშვიდობის საკითხებზე ფუძემდებელი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა საგარეო პოლიტიკისათვის.

დიდი პატრიოტი, ლ. ი. ბრეჟნევი ინტერნაციონალისტი იყო ამ სიტყვის ყველაზე ღრმა, ლენინური გაგებით. თავის ხალხთან ათასობით უხილავი ძაფით დაკავშირებულს, ყოველთვის ესმოდა და გულთან ახლოს მიჰქონდა სხვა ხალხების ბედი და მისწრაფებანი. მან ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ სოციალიზმის პირველი ქვეყნის შესაძლებლობებსა და ძლიერებას მაქსიმალურად შეეწყო ხელი მშვიდობის საქმის, ხალხთა ურთიერთგაგებისა და მეგობრობის საქმის, ნაყოფიერი და ურთიერთგამამდიდრებელი თანამშრომლობისათვის.

ინტერნაციონალიზმის იდეების ერთგულება მკაფიოდ გამოვლინდა ლ. ი. ბრეჟნევის მოღვაწეობითა და დაუღალავი ზრუნვით მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან ძმური მეგობრობის, თანამშრომლობის განმტკიცებისათვის, თანასწორუფლებიანობის, ორმხრივი პატივისცემისა და ურთიერთდახმარების საფუძველზე სოციალისტური ქვეყნების მარქსისტულ-ლენინურ პარტიებთან საბრძოლო კავშირისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევი დაუცხრომლად მუშაობდა, რათა განემტკიცებინა და განევითარებინა ნაყოფიერი ყოველმხრივი ურთიერთობა კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ, სოციალისტური ორიენტაციის გზაზე, სოციალიზმისათვის ბრძოლის გზაზე დამდგარ ქვეყნებთან, პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ყველა ხალხთან.

ლ. ი. ბრეჟნევის სახელთან დაკავშირებულია მთელი მსოფლიოს მოძმე კომუნისტურ პარტიებთან ურთიერთობის გაღრმავება და სრულყოფა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის განვითარების ახალ, პასუხსაგებ და რთულ ეტაპზე. იგი დიდად აფასებდა კლასობრივი ძმების თავდადებას, მათს ერთგულებას კომუნიზმის იდეებისადმი.

ლ. ი. ბრეჟნევი ისტორიაში დარჩება როგორც მშვიდობისათვის დიდი მებრძოლი. მას ღრმად ესმოდა ომის კატასტროფული საშიშროება ჩვენს ბირთვულ ხანაში. მას ეკუთვნის მთელ მსოფლიოში გავრცელებული შთამაგონებელი და დამრაზმველი იდეა იმის შესახებ, რომ ადამიანის უპირველესი უფლებაა სიცოცხლის უფლება.

ლ. ი. ბრეჟნევის ხელმძღვანელობით ჩვენმა პარტიამ შეიმუშავა და XXIV ყრილობაზე დაამტკიცა მშვიდობის პროგრამა, რომელიც განვითარდა სკკპ XXV და XXVI ყრილობებზე, წამოაყენა ბევრი დიდი სამშვიდობო ინიციატივა. ეს ხელს უწყობს საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შენარჩუნებას, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, აგრესიისა და იმპერიალიზმის ძალების წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას. მშვიდობა და სოციალიზმი კიდევ უფრო მტკიცედ დამკვიდრდა მილიონთა შეგნებაში, როგორც ერთიანი მთლიანი.

ლ. ი. ბრეჟნევს ახასიათებდა მაღალი პარტიულობა, ბოლშევიკური პრინციპულობა, თავმდაბლობა და ადამიანურობა. იგი ახლობელი და ძვირფასი იყო ყველა საბჭოთა ადამიანისათვის.

კომუნისტურ მშენებლობაში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე უთვალსაჩინოესი დამსახურებისათვის, დიდ სამამულო ომში გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლებზე საბჭოთა ხალხის გამარჯვებაში დიდი წვლილისათვის, საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განსამტკიცებლად აქტიური და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის და ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში დაუცხრომელი შრომისათვის ლ. ი. ბრეჟნევს ოთხგზის მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

იგი დაჯილდოებული იყო „გამარჯვების" ორდენით, რვა ლენინის ორდენით, ორი ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, ორი წითელი დროშის ორდენით, II ხარისხის ბოგდან ხმელნიცკის, I ხარისხის სამამულო ომის, წითელი ვარსკვლავის ორდენებით, საპატიო იარაღითა და სსრ კავშირის მედლებით, მას მინიჭებული ჰქონდა კარლ მარქსის სახელობის მედალი, ლენინური პრემიის ლაურეატის წოდება.

კომუნისტური, მუშათა და ეროვნული მოძრაობის წინაშე დამსახურებისათვის, მშვიდობისათვის ბრძოლაში შეტანილი წვლილისათვის ლ. ი. ბრეჟნევს სამგზის მიენიჭა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გმირის, სამგზის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გმირის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის გმირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის შრომის გმირის, სამგზის — ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის გმირის, კუბის რესპუბლიკის გმირის, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის შრომის გმირის წოდებანი, დაჯილდოებული იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ლაოსისა და ბევრი სხვა სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოებით. იგი იყო საერთაშორისო ლენინური პრემიის, დიმიტროვული პრემიის ლაურეატი, დაჯილდოებული იყო ფ. ჟოლიო-კიურის სახელობის „მშვიდობის ოქროს მედლით".

კომუნისტები, საბჭოთა ადამიანები, ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ქვეყნად მშვიდობა, თავს ხრიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი ხელმძღვანელის, ჩვენი დროის უთვალსაჩინოესი პოლიტიკური მოღვაწის ხსოვნის ღრმა პატივისცემის ნიშნად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი — **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი** — **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

პლანეტის ღრმა მწუხარება

ღრმა მწუხარებით შეხვდნენ მსოფლიოში ცნობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გარდაცვალების შესახებ. სხვადასხვა ქვეყნის თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი გამოთქვამენ რა სამძიმარს მძიმე დანაკლისის გამო, აღნიშნავენ, რომ გარდაიცვალა თანამედროვეობის უთვალსაჩინოესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც უდიდესი პირადი წვლილი შეიტანა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, მშვიდობისათვის, მსოფლიო თერმობირთვული ომის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში.

ლ. ი. ბრეჟნევის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ბერლინში გაიმართა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საგანგებო სხდომა. სხდომაზე გამოსვლისას გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ **ე. ჰონეკერმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლ. ი. ბრეჟნევმა უაღრესად დიდი წვლილი შეიტანა სოციალისტური თანამეგობრობისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ძმური კავშირის განმტკიცების საქმეში. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განაცხადა, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განაგრძოს ბრძოლა სოციალიზმისა და მშვიდობის კეთილშობილური საქმისათვის, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე შეალია ლ. ი. ბრეჟნევმა — ვ. ი. ლენინის ისტორიული საქმის ერთგულმა განმგრძობმა.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის რადიომ გადმოსცა **ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს** ცნობა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ლენინის დიადი საქმის ერთგული განმგრძობი, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, მშვიდობისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი და ვიეტნამელი ხალხის დიდი მეგობარი იყო. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გარდაცვალება დიდი დანაკლისია არა მარტო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხისათვის, არამედ აგრეთვე მთელი ჩვენი პარტიისათვის, მთელი ჩვენი ხალხისათვის, მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის.

„მშვიდობისმოყვარე კაცობრიობამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა, — გადმოსცემს **ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო.** — გარდაიცვალა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, თვალსაჩინო თეორეტიკოსი, ნიჭიერი ორგანიზატორი. მთელი თავისი დიდი, ნათელი ცხოვრება მან მოახმარა ოქტომბრის, ლენინის პარტიის დიად საქმეს, მშრომელი ხალხის ინტერესებს, კომუნიზმის მშენებლობას".

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, ნათქვამია **სოფიის რადიოს** კომენტარში, მილიონობით ადამიანის მეხსიერებაში დარჩება როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, რომელსაც ნამდვილად წარუვალი დამსახურება მიუძღვის საბჭოთა სამშვიდობო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების საქმეში, პროგრამისა, რომელიც შეესაბამება ხალხთა ღვიძლ, ძირეულ ინტერესებსა და მისწრაფებებს. ლ. ი. ბრეჟნევის სახელს დიდი პატივისცემითა და მადლიერებით წარმოთქვამენ დედამიწის ყველა კუთხეში, რადგან იგი მტკიცედ არის დაკავშირებული მშვიდობისათვის, დაძაბულობის შენელებისათვის, სოციალური პროგრესისათვის ხალხთა ბრძოლასთან.

უნგრეთის საინფორმაციო სააგენტო აღნიშნავს: „ლ. ი. ბრეჟნევის მთელი მრავალმხრივი საქმიანობა, პირადი ბედი განუყოფელია საბჭოეთის ისტორიის ისეთი უმნიშვნელოვანესი ეტაპებისაგან, როგორიც არის კოლექტივიზაცია და ინდუსტრიალიზაცია, დიდი სამამულო ომი და ომისშემდგომი აღორძინება, ყამირის ათვისება და კოსმოსის კვლევის ორგანიზაცია. და ყველგან, სადაც უნდა გაეგზავნა ლ. ი. ბრეჟნევი პარტიას, იგი თავდადებით, მგზნებარე ენერგიით იბრძოდა სოციალიზმისა და კომუნიზმის დიადი იდეალებისათვის. მის დაუცხრომელ მუშაობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტებზე საბჭოთა ადამიანები, ფართო საერთაშორისო საზოგადოებრიობა სამართლიანად უკავშირებენ საბჭოეთის წარმატებებსა და მიღწევებს მის თანმიმდევრულ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, რომელსაც იწონებს და მხარს უჭერს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა.

დიდია ლ. ი. ბრეჟნევის წვლილი მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირებაში, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარებაში, აღნიშნავს **პოლონეთის პრესის სააგენტო.** წარუვალია ლ. ი. ბრეჟნევის დამსახურება საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის — მშვიდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების, იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკების მტკიცედ უკუგდების პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. სანამ ლეონიდ ილიას ძის გული ძგერდა, მისი ფიქრები და საქმეები, მთლიანად ექვემდებარებოდა მშრომელი ადამიანების ინტერესებს, რომლებთანაც იგი მუდამ განუყრელად იყო დაკავშირებული. ყველა კონტინენტის ასმილიონობით ადამიანის შეგნებაში იგი იყო და იქნება ლენინური იდეურობის, თანამიმდევრული ინტერნაციონალიზმის, რევოლუციური ოპტიმიზმისა და ჰუმანიზმის განსახიერება.

ლ. ი. ბრეჟნევმა, ნათქვამია **ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტოს** ცნობაში, უდიდესი წვლილი შეიტანა საბჭოთა კავშირში კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელებაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკას საფუძვლად უდევს განვითარებული სოციალიზმის აშენებისა და კომუნიზმზე გადასვლის შესახებ სკკპ XXIII-XXVI ყრილობების პრინციპული დებულებანი. სოციალისტური ინდუსტრიის, აგრარული პოლიტიკის და მისი დიდმნიშვნელოვანი რგოლის — სასურსათო პროგრამის განვითარების, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, მისი ინტენსიფიკაციის, საზოგადოებრივი ურთიერთობის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის სრულყოფის პრობლემები — ყველა ეს საკითხი შემოქმედებითად შეიმუშავა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

ლენინური საგარეო პოლიტიკისა და ქვეყნად მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის, ბირთვული ომის ხანძრის თავიდან აცილებისათვის, ხმელეთზე და საზღვაო სივრცეში გამალებული შეიარაღების ალაგმვისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის აქტიური მიზანდასახული საერთაშორისო საქმიანობის წარმატებები უწინარეს ყოვლისა საბჭოთა სამშვიდობო პროგრამებისა და ინიციატივების ნაყოფია, რომელთა შემუშავება და რეალიზაცია განუყრელად არის დაკავშირებული ლ. ი. ბრეჟნევის სახელთან, ნათქვამია **მონღოლეთის რადიოს** კომენტარში.

ლ. ი. ბრეჟნევის, როგორც მშვიდობის პოლიტიკის მთავარი ხუროთმოძღვრის ცხოვრებას და მოღვაწეობას, პოლიტიკისა, რომელსაც თანამიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო, მის უმაგალითო მეცადინეობას ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისათვის, მის ბრძოლას იმპერიალიზმის ყველაზე უპასუხისმგებლო, აგრესიული და მილიტარისტული ძალების ალაგმვისათვის ისტორია შეაფასებს როგორც უდიდეს წვლილს მშვიდობის განმტკიცების საქმეში, ომის საფრთხისაგან პლანეტის ხსნაში, ნათქვამია **კუბის რადიოს** კომენტარში, ლ. ი. ბრეჟნევი დაუცხრომლად მუშაობდა კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ, სოციალისტური ორიენტაციის, სოციალიზმისათვის ბრძოლის გზაზე დამდგარ ქვეყნებთან, პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ყველა ხალხთან ნაყოფიერი ყოველმხრივი ურთიერთობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევი, აღნიშნულია **იუგოსლავიის ტანიუგის საინფორმაციო სააგენტოს კომენტარში,** გადამწყვეტ როლს ასრულებდა საბჭოთა კავშირის განვითარებაში, თავისი მოღვაწეობით მან მოწინააღმდეგე სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის წარმომადგენელ გამოჩენილ პიროვნებათა აღიარებაც კი დაიმსახურა, რადგან წამოაყენა მთელი რიგი წინადადებანი, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, და ღიად დატოვა განიარაღებისა და სხვა დარგებში ამერიკის შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკების გზა, რაზეც დამოკიდებულია მშვიდობა და საერთაშორისო თანამშრომლობა.

აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის მუდმივმა სამდივნომ წერილი გამოუგზავნა საბჭოთა ხალხს ლ. ი. ბრეჟნევის გარდაცვალების გამო. აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის 80-ზე მეტი ეროვნული კომიტეტისა და ორ კონტინენტზე ჩვენი მოძრაობის მილიონობით მონაწილის სახელით, ნათქვამია წერილში, აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის მუდმივი სამდივნო გამოთქვამს ღრმა მწუხარებას ლ. ი. ბრეჟნევის — აზიის, აფრიკისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა ეროვნული განთავისუფლების საქმისათვის დაუცხრომელი მებრძოლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობებს რომ ასრულებდა, ლ. ი. ბრეჟნევმა უდიდესი პირადი წვლილი შეიტანა იმპერიალიზმის, კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმისა და რასიზმის ძალების წინააღმდეგ პლანეტის ხალხთა ბრძოლის საქმეში.

(**ხაქთასი, 11 ნოემბერი**).

გლოვობს საქართველო

ტრაგიკულმა ცნობამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის უეცარი გარდაცვალების შესახებ დიდად დაამწუხრა საქართველოს მშრომელები. რესპუბლიკის მთელი მოსახლეობა გულისტკივილით განიცდის ამ მძიმე, აუნაზღაურებელ დანაკლისს. 11 ნოემბერს რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში გამართული სამგლოვიარო მიტინგებისა და კრებების მონაწილეებმა, რომლებიც გამოხატავენ უღრმეს მწუხარებას, განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, მთელი ძალ-ღონე და ენერგია მოახმარონ კომუნიზმის მშენებლობას, საქმეს, რომელსაც მთელი სიცოცხლე შეალია ლენინის დიადი საქმის ერთგულმა განმგრძობმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა.

თბილისი

— **თითოეულმა** ჩვენგანმა დიდი გულისტკივილით შეიტყო ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის უეცარი გარდაცვალების ამბავი, — თქვა თავისი კოლექტივის სამგლოვიარო მიტინგზე თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ზ. გაჩეჩილაძემ. — ეს არის უდიდესი, უმძიმესი დანაკლისი კომუნისტური პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხისათვის. თითოეულ ჩვენგანს საკუთარ მოქალაქეობრივ მოვალეობად, კომუნისტის მოვალეობად მიაჩნია ის, რომ კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმოს მშობლიური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, გაორკეცებული, გასამკეცებული ენერგიით იშრომოს ჩვენი საყვარელი სამშობლოს აყვავებისათვის.

მიტინგზე გამოვიდნენ ქარხნის პარტკომის მდივანი კ. გუჯაბიძე, მთავარი ინჟინერი გ. კერესელიძე, შრომის ვეტერანი, ელექტროზეინკალი ვ. ბექუაშვილი, ომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ლილიპაროვი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი გ. რატიანი, რომლებმაც ილაპარაკეს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მრავალმხრივი მოღვაწეობის, მისი პირადი ბედის შესახებ, ასე განუყოფელი რომ არის ჩვენი ქვეყნის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპებისაგან, , აღინიშნა, თუ რა უთვალსაჩინოეს როლს ასრულებდა იგი პარტიის ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების კურსის განსაზღვრასა და რეალიზაციაში, თუ რა წარუვალი დამსახურება მიუძღვის მას საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი პარტიის პოლიტიკის — მშვიდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. ყველა ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ ლ. ი. ბრეჟნევის ცხოვრება და მოღვაწეობა მუდამ იქნება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი ერთგული სამსახურის მკაფიო მაგალითი.

სურათზე: სამგლოვიარო მიტინგი თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში.

ო. თურქიას და ა. რუხაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

რუსთავი

ძალზედ რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. აქ კარგად ახსოვთ, იცნობენ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს. იგი ყოფილა რესპუბლიკის ამ უდიდეს საწარმოში, ქართველი მეტალურგებისათვის მიუცია რჩევა-დარიგებანი, გამოუთქვამს შრომაში წარმატებათა სურვილები. გარდაიცვალა ლეონიდ ილიას ძე, მაგრამ დატოვა კეთილი ხსოვნა ადამიანთა გულში, რომლებსაც ყოველდღე საქმე აქვთ ცეცხლთან და ლითონთან.

მარტენის საამქრო. გამოუშვეს მორიგი ნადნობი, გიზგიზებს ცეცხლი ღუმელებში. დაიწყო ცვლების შეცვლა, მაგრამ ადამიანები შინ როდი მიდიან. ისინი შეიკრიბნენ სამგლოვიარო მიტინგზე.

სიტყვას ამბობს წარჩინებული მეფოლადე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ო. ლომიძე, რომელმაც მორიგი ცვლა უნდა დაიწყოს. მან გვიჩვენა შინიდან მოტანილი წერილი, რომელიც ლეონიდ ილიას ძემ გამოუგზავნა, და თქვა:

— ამხანაგმა ბრეჟნევმა ამ სტრიქონებით მე და ჩემს ამხანაგებს გვისურვა ახალი შრომითი მიღწევები ქვეყნად მშვიდობისა და ადამიანთა ბედნიერებისათვის. ახლა ცვლაში უნდა გავიდე. დიდია დანაკლისი და უსაზღვრო ჩვენი მწუხარება, მაგრამ ვაცხადებ, რომ ჩვენს საქმეს ჩინებულად გავაკეთებთ.

ქარხნის საამქროებში გამართულ მიტინგებზე გამოვიდნენ მეფოლადე უ. ივანიაშვილი, უფროსი ოსტატი-მებრძმედე, სოციალისტური შრომის გმირი ა. ძამაშვილი, მილსაგლინავი საამქროს უფროსი მვალცავი გ. გულოშვილი. სხვები.

სოხუმი

სამწუხარო ცნობამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარდაცვალების შესახებ ტკივილით აღავსო აფხაზეთის მშრომელთა გული. ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში გაიმართა სამგლოვიარო მიტინგები, რომელთა მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ისწრაფვიან კიდევ უფრო შეკავშირდნენ კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

ქარხანა „სოხუმხელსაწყო" აფხაზეთის დედაქალაქის ერთ-ერთი უდიდესი საწარმოა. აქ გამართული ხალხმრავალი სამგლოვიარო მიტინგი გახსნა საწარმოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ი. ცომაიამ. საამწყობო საამქროს უფროსმა ა. გიცბამ, ომისა და შრომის ვეტერანმა პ. პერტაიამ, ზეინკალმა ა. არძინბამ, ზეინკალთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელმა რ. შონიამ, მუშამ რ. კალაიჯიანმა, მექანიკურ-საამწყობო საამქროს ოსტატმა პ. უსენკომ, სხვა ორატორებმა აღუთქვეს კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, რომ ძალღონესა და ენერგიას არ დაიშურებენ, რათა ბეჯითი შრომით ამრავლონ სოციალისტური სამშობლოს ძლიერება და სიმდიდრე, განამტკიცონ ქვეყნად მშვიდობა.

ბათუმი

აჭარის მშრომელებმა დიდი გულისტკივილით აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობა იმის შესახებ, რომ გარდაიცვალა თანამედროვეობის უთვალსაჩინოესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ლენინის საქმის განმგრძობი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში — ავტონომიური რესპუბლიკის სოციალისტური ინდუსტრიის ერთ-ერთ პირველ საწარმოში გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი, რომელიც გახსნა საწარმოს პარტკომის მდივანმა ვ. გუდენკომ.

სიტყვა ეძლევა ტექნოლოგიური დანადგარის უფროსს ნ. საყვარელიძეს.

— შეწყდა ერთგული ლენინელის, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გულის ძგერა, — თქვა მან. — მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლმა ლ. ი. ბრეჟნევმა მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ჩვენთვის ამ მძიმე ჟამს პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, აღვუთქვამთ, რომ არ დავიშურებთ ძალ-ღონეს, რათა განვახორციელოთ პარტიის წინასწარდასახულობანი, რომლის დიად საქმეს მთელი თავისი სიცოცხლე შეალია ლეონიდ ილიას ძემ.

მიტინგზე გამოვიდნენ ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის ლაბორანტი მ. თვალაძე, ოპერატორი ნ. გურგენიძე და სხვები. მათ თქვეს, რომ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მთელი სიცოცხლე პარტიისა და ხალხის უსაზღვრო ერთგულების მაგალითია. ამ მაგალითს მიბაძავენ ისინი თავიანთ ცხოვრებაში.

ცხინვალი

ლენინის დიადი საქმის ერთგული განმგრძობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარდაცვალება დიდი მწუხარებით აღიქვეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგებზე ჰთიანი მხარის მუშებმა, კოლმეურნეებმა, მშრომელმა ინტელიგენციამ სიტყვა დადეს, რომ დამკვრელური შრომით განაგრძობენ კომუნისტური პარტიის საქმეს, განამტკიცებენ მშვიდობას მსოფლიოში.

სამგლოვიარო მიტინგი გაიმართა ცხინვალის მექანიკურ ქარხანაში. იგი გახსნა საწარმოს პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ვ. დუდაევმა, რომელმაც თქვა:

— მძიმეა ჩვენი დანაკლისი, დიდია ჩვენი მწუხარება, მაგრამ არ გატყდება კომუნისტთა ნება. ჩვენ გვჯერა პარტიის, მისი მძლავრი კოლექტიური გონებისა და ნების.

— ვიცით, — თქვა მიტინგზე შრომის ვეტერანმა, ხარატმა დ. თედეევმა, — რომ ლენინის დროშას, ოქტომბრის დროშას კვლავაც მტკიცედ ატარებენ [illegible] ნის კომუნისტები, ყველა მშრომელი. პარტია მიგვაჩნია ჩვენს ნაცად ბელადად, ბრძენ ხელმძღვანელად და ორგანიზატორად. მოგიწოდებთ, კიდევ უფრო მჭიდროდ შევკავშირდეთ პარტიის გარშემო, მკლავმოუღლელად ვიშრომოთ, რათა საქმე, რომლისთვისაც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი იბრძოდა, მუდამ იმარჯვებდეს.

გურჯაანი

— **საბჭოთა** ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, — თქვა სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობაში გამართულ ხალხმრავალ სამგლოვიარო მიტინგზე კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა გ. კენკიშვილმა. — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელთან დაკავშირებულია მშვიდობისათვის, კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისათვის, ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის ჩვენი ხალხის თანამიმდევრული ბრძოლა.

ამ დღეებში, — აღინიშნა თავის გამოსვლაში კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. უტიაშვილმა, — თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გამოიჩინოს მაღალი შეგნება, და კვლავაც სრული დაძაბვით იშრომოს, რათა შეასრულოს წლის დავალებანი, განახორციელოს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი. კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა სიმინდის დამზადების გეგმები, ჰექტარზე მიღებულია საშუალოდ 50 ცენტნერი მარცვლეული — ყველაზე დიდი მოსავალი მთელი წლების განმავლობაში, რეალიზებულია აბრეშუმის პარკის დამზადების დავალებაც. კარგი მაჩვენებლებით ამთავრებენ წელიწადს მეცხოველეებიც. ახლა ყველა ჩვენგანი იბრძვის მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის.

მიტინგზე გამოვიდა მოწინავე მევენახე ლ. ჩეკურიშვილი, რომელმაც ყველა თანამოსაქმე ამხანაგის სახელით პარტიასა და მთავრობას აღუთქვა, რომ კოლმეურნეობის მშრომელები კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდებიან კომუნისტური პარტიის გარშემო.

ზუგდიდი

— **ტკივილით** აღივსო ჩვენი გული, — თქვა სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოში" გამართული სამგლოვიარო მიტინგის გახსნისას კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ზ. თოდუამ. — გარდაიცვალა მგზნებარე პატრიოტი, გამოჩენილი რევოლუციონერი, მშვიდობისა და კომუნიზმისათვის მებრძოლი, თანამედროვეობის უთვალსაჩინოესი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე მუშაობისას იგი განუხრელად ახორციელებდა ლენინის ყველა ანდერძს, იყო მასების უნარიანი ორგანიზატორი, გვიჩვენებდა ვაჟკაცობის, სიმტკიცის, პარტიული მოვალეობის ერთგულების ნათელ მაგალითს.

— მარად გვემახსოვრება ქართულ მიწა-წყალზე ლეონიდ ილიას ძის ყოფნის დღეები, — თქვა მეჩაიემ შ. ბახტაძემ. — მან ჩვენთან ერთად გაიზიარა სიხარული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და მისი კომპარტიის შექმნის 60 წლისთავის დღესასწაულის გამო, კეთილი რჩევა-დარიგება მოგვცა რესპუბლიკის ეკონომიკის, სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ, კერძოდ დასახა ჩვენი — საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკების ამოცანებიც.

ჩვენი ვალია, აღნიშნეს მიტინგზე ორატორებმა, პრაქტიკულად განვახორციელოთ ლეონიდ ილიას ძის მითითებანი, გავზარდოთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს ეკონომიური პოტენციალი.

სამტრედია

ლოკომოტივების გაბმული, მწუხარე საყვირების ხმა შეიჭრა სამტრედიის სადგურის სალოკომოტივო დეპოს მწყობრ შრომით რიტმში. იგი წინ უძღოდა დიდი ლენინის საქმის ერთგული განმგრძობის, მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგს.

ძაძებით არის მოსილი ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის ერთ-ერთი უდიდესი კვანძის კოლექტივის მიერ მოპოვებული გარდამავალი წითელი დროშები, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის პორტრეტები, მწუხარედ გარინდულან ადამიანები.

მიტინგის გახსნისას სალოკომოტივო დეპოს პარტიული კომიტეტის მდივანმა კ. მეგენეიშვილმა მოუწოდა კოლექტივის კომუნისტებს, ყველა მშრომელს უფრო მჭიდროდ შეკავშირდნენ კომუნისტური პარტიის გარშემო, დამკვრელური შრომით, კეთილი საქმეებით უპასუხონ მძიმე დანაკლისს, რომელიც განიცადეს კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ.

მიტინგზე გამოსულებმა — დეპოს უფროსმა ოსტატმა გ. მშვენიერაძემ, მემანქანემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა რ. ელიაშვილმა, მუშამ ა. კახიანმა აღუთქვეს პარტიასა და მთავრობას, რომ მთელ თავიანთ ძალ-ღონესა და ენერგიას მოახმარენ შემოქმედებითს შრომას სოციალისტური სამშობლოს კეთილდღეობისა და აყვავებისათვის, ქვეყნად მშვიდობისათვის.

(საქინფორმი).

სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გახსნის გადატანის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი იუწყება, რომ სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გახსნა გადატანილია 1982 წლის 23 ნოემბრისათვის.

ქარტიული ცხოვრება: საოლქო კომიტეტების პლენუმებზე

სოხუმი

სასურსათო პროგრამას— კომუნისტთა მთელი გულისყური

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმმა განიხილა ოლქის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები მარცვლეულისა და საკვების წარმოების გადიდების საქმეში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის გადაწყვეტილებების შესაბამისად. პლენუმზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ადლეიბამ.

აფხაზეთის სოფლის მშრომელები კვლავ შეუნელებელ ყურადღებას უთმობენ სუბტროპიკულ კულტურებს, ყოველწლიურად ადიდებენ ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს, ხილისა და ყურძნის ჰექტარობრივ მოსავლიანობას და ამასთან ზრდიან მარცვლეულისა და საკვების წარმოებას.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა — პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. კაპბამ, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორმა ნ. ქარქაშაძემ, გუდაუთის რაიონის დურიფშის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის მეჩაიემ, სოციალისტური შრომის გმირმა ნ. საჯანიამ, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ს. საკიანმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა ყველაფერი გაკეთდეს, რათა სავარგულები, მინდვრები და საძოვრები სრული დატვირთვით ემსახურებოდეს სასურსათო პროგრამის განხორციელებას.

საერთოდ აფხაზეთის პირობებში ყველაზე მოსავლიანი კულტურაა სიმინდი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ავტონომიური რესპუბლიკის სასურსათო რესურსების შესავსებად, მეცხოველეობის საკვები ბაზის განსამტკიცებლად. საუბარი იყო სახელგანთქმულ მესიმინდეთა გამოცდილების გავრცელებაზე, ამ ძვირფასი სასურსათო საკვები კულტურების უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში არსებულ ნაკლოვანებათა აღკვეთაზე.

კარგი მოსავალი მიიღეს მიმდინარე სამეურნეო წელს აფხაზეთის მესიმინდეებმა. ამას ბევრად უწყობს ხელს სიმინდის მოყვანის ინდუსტრიული მეთოდის დანერგვა. სახკომსოფლტექნიკის ოჩამჩირის, გალის, გულრიფშისა და გუდაუთის რაიონული გაერთიანებების მექანიზებულმა რაზმებმა გასულ წელთან შედარებით ორჯერ გაადიდეს სიმინდის ყანების ყოველი ჰექტარის მოსავლიანობა.

ამასთან ერთად პლენუმზე ისიც ითქვა, რომ სიმინდის ყანებს ყველგან სათანადოდ არ უვლიან, ირღვევა თესვისა და მოსავლის აღების აგროწესებით გათვალისწინებული ვადები. ამის შედეგად მთლიანად აფხაზეთში 1976–80 წლებში ჰექტარობრივად მოსავლიანობა გეგმით გათვალისწინებული 25 ცენტნერის ნაცვლად 17 ცენტნერს არ აღემატებოდა.

პლენუმმა გადაწყვიტა, მკაცრად მოეთხოვოს პასუხი ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მარცვლეულის წარმოებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის. გამოცხადებულ გადაწყდა მარცვლეულის საშუალო წლიური წარმოება მიმდინარე ხუთწლედში გაიზარდოს 35,6 ათას ტონამდე, მიაღწიონ იმას, რომ სიმინდის ყანები თითოეულ ჰექტარზე სულ ცოტა 31 ცენტნერ მარცვლეულს იძლეოდეს.

პლენუმზე ითქვა, რომ საჭიროა სოიისა და ლობიოს წარმოებამ ასევე დაიკავოს ღირსეული ადგილი ავტონომიური რესპუბლიკის სასურსათო ბალანსში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საზოგადოებრივ მეურნეობებში საკვები რესურსების პროგრამის გაზრდას 1981–1985 წლებში. მეტი მზრუნველობა მართებთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სილოსის, სენაჟის, თივის, ძირხვენების შესანახ ნაგებობათა დაჩქარებული მშენებლობისათვის. პლენუმზე ფართოდ განიხილეს მეცხოველეობის ფერმებისა და კომპლექსების რენტაბელობის ამაღლების, ხორცის, რძისა და კვერცხის დამზადების გადიდების ყველა შესაძლებელი გზა.

საქმიანი საუბარი გაჩაღდა სოფლად მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შემდგომი სრულყოფის საკითხებზე, იმაზე თუ რა როლს უნდა ასრულებდნენ თითოეული პირველადი პარტიული ორგანიზაცია, თითოეული კომუნისტი სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის. მოითხოვეს, რომ შეუწყნარებელი ბრძოლა გამოეცხადოს სპეკულანტებს, მუქთახორებს, ხარბაცებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია გაჩაღდეს ბრძოლა არამეურნეობრიობის, უყაირათობის, მფლანგველობის წინააღმდეგ.

მიღებულ დადგენილებაში გამოთქმულია მტკიცე რწმენა, რომ აფხაზეთის კომუნისტები, მშრომელები შემოქმედებითად, მთელი ენერგიით იშრომებენ ქვეყნის სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ბათუმი

რეზერვების ამოქმედების გზით

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით იყო გამსჭვალული ბათუმში გამართული პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმის მუშაობა. მან განიხილა საკითხი მარცვლეულისა და საკვების წარმოების გადიდების საქმეში ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ და ხაზი გაუსვა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა სასურსათო პროგრამის რეალიზაციის თავიდათავია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატის, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. პაპუნიძის მოხსენებაში, პლენუმის მონაწილეთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმზე გამოითქვა კრიტიკული შენიშვნა იმის თაობაზე, რომ აჭარაში წლითიწლობით გაუმართლებლად მცირდება სათესი ფართობები და კლებულობს მარცვლოვანთა მოსავლიანობა. მაგალითად, 1981 წელს 1976 წელთან შედარებით სამარცვლე სიმინდის ყანების ფართობი საზოგადოებრივ მეურნეობებში შემცირდა 616 ჰექტარით ანუ 31,1 პროცენტით, ხოლო მარცვლის მოსავლიანობა ჰექტარზე 22,6 ცენტნერს არ აღემატებოდა.

სიმინდის მცირე მოსავლის მთავარი მიზეზი ის არის, რომ უგულებელყოფენ აგროტექნიკის მოთხოვნებს, არღვევენ თესვის ვადებს, დაუკარგავია მოსავლის აღების სამუშაოებზე. ეფექტიანად არ იყენებენ ტექნიკას.

პლენუმმა გადაჭრით მიუთითა ისეთ დიდმნიშვნელოვან რეზერვზე, როგორიც არის ახალი მიწების ათვისება მდინარე ჭოროხის ჭალებში, ქობულეთის რაიონის დაჭაობებული მიწების ამოშრობა. ხელვაჩაურის რაიონში მდინარის რიყე ნაპირზე მიწის მოყრის შედეგად უკვე ათვისებულია 220 ჰექტარი ფართობი. გათვალისწინებულია აქ აითვისონ კიდევ 470 ჰექტარი, სადაც საკვებ კულტურებს მოიყვანენ. ქობულეთის რაიონში მიმდინარეობს და გაისად დამთავრდება მუშაობა 1080 ჰექტარი დაჭაობებული მიწების დასაშრობად.

ამასთანავე, აღინიშნა პლენუმზე, მთავარი რეზერვია არსებული სათესი ფართობების ნაყოფიერების გადიდება ადგილობრივი ორგანული სასუქის ფართო გამოყენების, მიწების ქიმიზაციისა და მელიორაციის გზით.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე ხელვაჩაურის რაიონის სასურსათო პროგრამის განხორციელების საკითხი, რომლის გამოც მოხსენება გააკეთა პარტიის ხელვაჩაურის რაიკომის პირველმა მდივანმა ს. ინაიშვილმა.

განხილულ საკითხებზე მიღებულია შესაბამისი დადგენილებანი. (საქინფორმი).

საქართველოს მასწავლებელთა V ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

11 ნოემბერს თბილისში მუშაობა დაამთავრა საქართველოს მასწავლებელთა V ყრილობამ.

ყრილობამ, რომელიც სამ დღეს გრძელდებოდა, განიხილა მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის აქტუალური საკითხები. გაიმართა სექციების მეცადინეობები, დელეგატთა შეხვედრები სამინისტროებსა და უწყებებში, შემოქმედებით კავშირებსა და ორგანიზაციებში, განისაზღვრა წარმოებასთან, ცხოვრებასთან სკოლის კავშირის შემდგომი განმტკიცების, სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების საქმიანობაში სხვადასხვა სამინისტროს, უწყების, საწარმოს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მონაწილეობის ფართო გზები.

ყრილობამ, რომელმაც მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩაიარა, დასახა სახალხო განათლების მთელი სისტემის მუშაობის შემდგომი გააქტიურების პროგრამა.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, სსრ კავშირის განათლების მინისტრი მ. ა. პროკოფიევი, სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მ. ი. კონდაკოვი, ამხანაგები პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ი. ნ. ორჯონიკიძე, ფ. ს. სანაკოევი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ვ. ფედულოვა. (საქინფორმი).

ტექნიკური პროგრესი დროის მოთხოვნაა

ზიათურის მანგანუმს მომხმარებელი ნახევარი საუკუნის წინათ გაუჩნდა. ქართველი მეტალურგების განვლილ სახელოვან გზას რომ გადახედავ, კანონიერი სიამაყის გრძნობა დაგეუფლება. თავდაპირველად წლიურად 24 ათასი ტონა ლითონური მანგანუმის წარმოებისათვის გათვალისწინებულ ქარხანაში ახლა 20-ჯერ მეტ კომპლექსურ შენადნობებს იღებენ. აქ აითვისეს 30-ზე მეტი სხვადასხვა მარკის შენადნობები, რომლებსაც იყენებენ უმაღლესი ხარისხის და სპეციალური დანიშნულების ფოლადების ლეგირებისათვის.

იზარდა, მხრები გაშალა მაშინდელი საქარის ველზე აღმართულმა საწარმოო კორპუსებმა, ორგანულად შეერწყნენ ისინი ზესტაფონს და წარმოაჩინა რესპუბლიკის ერთ-ერთ მსხვილ სამრეწველო ქალაქად. სწორედ აქ ელექტროსადნობ ღუმლებთან აგიზგიზებულმა ცეცხლმა ჩაუყარა საძირკველი ჭიათურა-ზესტაფონის სამრეწველო კვანძის ჩამოყალიბებას, გამოკვეთილი სახე მიიღო რეგიონის ეკონომიკურმა სტრუქტურამ. ეს არის ქვეყნის რეგიონის ძლიერება, სიმდიდრე. ჭიათურული მანგანუმი და ზესტაფონური ლითონური შენადნობი ჩვენი ქვეყნის თუ საზღვარგარეთის მრავალი მისამართით იგზავნება.

განვლილ ათწლეულებში ქარხნის საწარმოო-ტექნიკურ განვითარებას ცალმხრივი ყურადღება ექცეოდა. მეცნიერები და პრაქტიკოსი მეტალურგები ყოველდღის გვერდით ორ ოთახში იყო მოთავსებული, მას შემდეგ, რაც ამ ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა რ. ჩინჩალაძე, მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ახლა სამმართველოს კოლექტივი წლიურად თითქმის 11 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს ასრულებს.

რას აკეთებენ ამ სამმართველოს სპეციალისტები, მშენებლები, მემონტაჟეები ფერომშენადნობთა ქარხნის მეორედ დაბადებისათვის?

მეოთხე სადნობი საამქროს გასაწმენდი ურთულესი ნაგებობის მშენებლობის პარალელურად მიმდინარეობს სადნობი ღუმლების რეკონსტრუქცია. თუმცაღა, სიტყვა „რეკონსტრუქცია" პირობითად უნდა ვიხმაროთ, რადგან აქ საძირკვლისა და შენობის კორპუსს მაღლა ამავალი საკვამლე მილის გარდა მთლიანად მონტაჟდება ახალი სადნობი ღუმლები. მკითხველი რომ არ შეცბუნდეს საკვამლე მილის ხსენებაზე, დავძენთ, რომ ისინი საჭირო იქნება მშენებარე გაზმტვერსაჭერი მოწყობილობის მთლიანად დამონტაჟების დამთავრებამდე, რომელიც ახლო მომავლის საქმეა.

სრულიად განსხვავებული ნახევრად დახურული ტიპის სადნობი ღუმლების პროექტი ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ი. არაბულმა შექმნა. მისი უპირატესობა ის არის, რომ სადღეღამისო მწარმოებლობა თითქმის 40 ტონით იზრდება, საკერძე მოედანი დაფარულია ზონდით, რომელშიც დატანებული ფანჯრების საშუალებით მდნობელი ბუნკერიდან ჩამოშვებულ კაზმს არეგულირებს. მძლავრი შემწოვი მილები ისრუტავს გაზს და მტვერს, დაცულია სისუფთავე, მუშაობისათვის საჭირო ნორმალური ტემპერატურა.

ღუმლები უკვამლოდ

სოციალისტურ ქვეყნებში

● უნგრეთი

რაციონალიზატორთა ერთთვიური

ბუდაპეშტი. ჩეპელის მეტალურგიულ და მანქანათსაშენებელ კომბინატში დამთავრდა რაციონალიზატორთა ერთთვიური, რომელიც ადგილობრივი წარმოების მოწინავეთა მიღწევების წარმომადგენლობითი დათვალიერება გახდა. ჩეპელელთა გამოცდილების გასაცნობად კომბინატს ესტუმრა უნგრეთის სხვადასხვა სამრეწველო საწარმოს ხუთი ათასზე მეტი მუშა და სპეციალისტი.

მარტო მიმდინარე წელს წარმოებაში დანერგავენ ათასზე მეტ რაციონალიზატორულ წინადადებას. წინასწარი გაანგარიშებით, მათი გამოყენების შედეგად მიღებული საერთო ეკონომიკური ეფექტი ათობით მილიონ ფორინტს შეადგენს.

● გდრ

საბჭოთა შახტებისათვის

ბერლინი. გ. ბაიმლერის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის კომბინატში შექმნეს სამთო კარიერებზე მუშაობისათვის განკუთვნილი ახალი მძლავრი ლოკომოტივი. 1983 წლის დამდეგს კურსკის მაგნიტური ანომალიის შახტები და …

● ჩეხოსლოვაკია

დამკვრელური შრომა ზამთრამდე

● ბულგარეთი

შრომითი საჩუქარი

● ჰერ

სამრეწველო მაჩვენებლები

მადრიდის შეხვედრაზე

11 ნოემბერი

საერთაშორისო ცხოვრების ლედაპირის ზურზე

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

„მმგობრის" ნიღბით

ანუ რისთვის მიდის ბუში აფრიკაში

ვაშინგტონი. აფრიკის შვიდ ქვეყანაში ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტ ჯ. ბუშის ორი კვირის მოგზაურობის მთავარი მიზანია განახორციელოს აფრიკაში შეერთებული შტატების ექსპანსიონისტური პოლიტიკა. ამას ადასტურებს პრესკონფერენცია, რომელიც მან გამგზავრების წინ მოაწყო.

რ. რეიგანის ადმინისტრაცია ძალზე შეშფოთებულია აფრიკაში მზარდი ანტიამერიკული განწყობილებებით. სწორედ ამიტომ, როგორც აცნობა ჟურნალისტებს ჯ. ბუშმა, იგი შეეცდება აფრიკის სახელმწიფოების ხელმძღვანელები დაარწმუნოს „ამერიკის შეერთებული შტატების მეგობრულ გრძნობებში მათ მიმართ". ამასთან ერთად, მან გულახდილად განაცხადა, რომ განზრახული აქვს დაიცვას საერთაშორისო სავალუტო ფონდის გადაწყვეტილება დიდი სესხი მისცეს რასისტულ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას. ოფიციალური ვაშინგტონის სანქციით გადადგმული ამ ნაბიჯის წინააღმდეგ — სუფსიდია მისცეს აპარტეიდის რეჟიმის მილიტარისტულ კურსს, მტკიცედ გაილაშქრეს კონტინენტის დამოუკიდებელმა ქვეყნებმა. ვიცე-პრეზიდენტი ამტკიცებდა ასევე, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „არ ჩაერევა აფრიკის რაიმე პრობლემების გადაწყვეტაში", მაგრამ აღნიშნა, რომ იგი ეცდება განაპირობოს მოწესრიგება ნამიბიაში მთელი რიგი შენიშვნებით.

როგორც ამერიკის ოფიციალურ წრეებში აღნიშნავენ, ჯ. ბუში აფრიკაში პრაქტიკულად ცარიელი ხელით მიდის კონტინენტზე იმ სახელმწიფოებისათვის ეკონომიკური დახმარების გაწევის მხრივ, რომლებიც სერიოზულ სიძნელეებს აწყდებიან.

აფრიკისათვის ეკონომიკური დახმარების შემცირების სანაცვლოდ ამერიკის შეერთებული შტატები სამხედრო დახმარებას უზრდის, გაძლიერებით აიარაღებს პროდასავლურ ქვეყნებს, ყოველნაირად აჩაღებს მრავალ კონფლიქტებს კონტინენტზე.

● აშშ-გფრ

ვაშინგტონის ფარვატერში

ვაშინგტონი. ამერიკის დედაქალაქში ვიზიტად იმყოფება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი მ. ვერნერი. მან მოლაპარაკება გამართა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტ ჯ. ბუშთან, სახელმწიფო მდივან ჯ. შულცთან და თავდაცვის მინისტრ კ. უაინბერგერთან. პენტაგონის ცნობით, მოლაპარაკებაზე განიხილეს „ამერიკა-დასავლეთ გერმანიის სამხედრო ურთიერთობის პრობლემები".

თუ მოლაპარაკების შემდეგ მ. ვერნერის გამონათქვამებით ვიმსჯელებთ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახალი მთავრობა აპირებს ამ დარგში ფარვატერში გაჰყვეს ვაშინგტონს. საქმე უწინარეს ყოვლისა ეხება ნატოში ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთევროპელ მოკავშირეთა ტერიტორიაზე საშუალო სიშორის უახლესი ამერიკული რაკეტულ-ბირთვული საშუალებების განლაგების გეგმებს. დასავლეთ გერმანიის თავდაცვის მინისტრმა დაადასტურა თავისი მთავრობის ვალდებულება მომავალი წლის დამლევიდან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე განალაგოს „პერშინგ-2" ტიპის 108 ამერიკული ბირთვული რაკეტა.

მეთვალყურეებს მ. ვერნერის აქ ყოფნა მიაჩნიათ იმ შეუნიღბავი ზეგავლენის გამოვლინებად, რომელსაც შეერთებული შტატები ახდენენ თავიანთ დასავლეთევროპელ მოკავშირეებზე, რათა აიძულონ ისინი უსიტყვოდ დაიცვან 1979 წლის დეკემბერში ვაშინგტონის ზეგავლენით მიღებული ნატოს რაკეტულ-ბირთვული გადაწყვეტილება. რეიგანის ადმინისტრაცია აშკარად შიშობს, რომ დასავლეთ ევროპის ხუთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე 572 „პერშინგ-2" ტიპის ამერიკული რაკეტისა და ფრთოსანი რაკეტის განლაგების გეგმებს შეიძლება საფრთხე შეუქმნას კონტინენტზე გაშლილმა მძლავრმა ანტიბირთვულმა მოძრაობამ.

ფოტოფაქტი

პოლონეთის ამბები

ვარშავა. როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, 10 ნოემბერს პოლონეთის სამრეწველო საწარმოებში ნორმალური შრომითი დღე იყო. ქვეყნის სხვადასხვა რაიონიდან ვარშავაში მოდის ცნობები კარგი საწარმოო შედეგების შესახებ. …

ქვეყნის ზოგიერთ რაიონში ანტისოციალისტურმა ელემენტებმა, რომლებსაც საზღვარგარეთის ძირგამომთხრელი ცენტრები აქეზებდნენ, შეძლეს პროვოკაციულად გამოეწვიათ უმნიშვნელო ინციდენტები, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგის ძალებმა აღკვეთეს.

ვითარება ლიბანში

ბეირუთი. ლიბანის სხვადასხვა რაიონში კვლავ განსაკუთრებით დაძაბული ვითარებაა. განსაკუთრებით საშიში ვითარება შეიქმნა ლიბანის მთიანეთში ქალაქ შუფისა და მის გარშემო მდებარე დასახლებული პუნქტების რაიონში, სადაც არ წყდება მძაფრი შეტაკებანი ადგილობრივი დრუზის ტომის მოსახლეობასა და მემარჯვენე-ქრისტიანთა რაზმებს შორის. ლიბანის ამ რაიონთან კავშირი მთლიანად შეწყვიტეს ისრაელის საოკუპაციო ჯარებმა, რომლებიც პროვოკაციულად იწვევენ შეიარაღებულ შეტაკებებს. ქვეყნის პროგრესულ-სოციალური პარტიის თავმჯდომარემ ვ. ჯუმბლატმა განაცხადა: „ცხადია ისრაელ ოკუპანტთა აშკარა მისწრაფება დაარღვიონ ქრისტიანთა და დრუზთა თანაარსებობა ლიბანის მთის რაიონში. ბრალს ვდებ ისრაელს იმაში, რომ იგი ეხმარება მემარჯვენე-ქრისტიანულ რაზმებს დაიკავონ მთელი რიგი პოზიციები, რათა დრუზებს და ქრისტიანებს უბიძგონ გაჟლიტონ ერთმანეთი".

ვ. ჯუმბლატმა აღნიშნა, რომ ისრაელი სარგებლობს ლიბანის მთიანეთში შექმნილი მდგომარეობით ლიბანის ხელისუფლებზე ზეგავლენის მოსახდენად, რათა აიძულოს ისინი ფარ-ხმალი დაყარონ და შეასრულონ მისი მოთხოვნები.

ისრაელის ჯარები სარგებლობენ შეიარაღებული შეტაკებებით. და გააძლიერეს თავიანთი ყოფნა ლიბანის მთიანეთში, კვლავ დაიკავეს ლიბანის დედაქალაქის სამხრეთ გარეუბანი — უზაის რაიონი.

ისრაელისა და სირიის ჯარების შეხების ხაზზე ბექაას ველზე აფეთქებასაშიში მდგომარეობაა. აღმოსავლეთ ბექააში ისრაელებმა კვლავ მოაწყვეს პროვოკაციული საარტილერიო სროლა. ლიბანში მშვიდობის დამცველი არაბეთის ქვეყნების ძალთა შემადგენლობაში შემავალი სირიის ჯარების პოზიციებს დაუშინეს მძიმე საარტილერიო ქვემეხების ცეცხლი. სირიის ჯარები იძულებული გახდნენ ცეცხლითვე ეპასუხათ. უკანასკნელ დღეებში ისრაელებმა ბექაას ველზე კიდევ დაახლოებით ასი ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი გაგზავნეს.

როგორც პალესტინის ვაფის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ლიბანის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი პარტიზანული რაზმების ჯგუფი კვლავ დარტყმებს აყენებს საინტერვენციო ჯარების ზურგს.

სამხრეთ ლიბანში პალესტინელ ლტოლვილთა მდგომარეობა ყოველდღე სულ უფრო აუტანელი ხდება, იუწყება ვაფის სააგენტო. ისრაელ ინტერვენტთა მხრივ რეპრესიებსა და ძალადობას დაემატა კოკისპირული წვიმები და სიცივე. თვითნაკეთი ფარდულები და კარვები წყალმა დაფარა და ლტოლვილებს ვერ იცავს სიცივისაგან. ლტოლვილთა უმეტესობა ფაქტობრივად ღია ცის ქვეშ ცხოვრობს და არავითარი იმედი არა აქვს როგორმე გაიუმჯობესონ მდგომარეობა. ისრაელი ოკუპანტები ლტოლვილებს კვლავ უკრძალავენ აგონ დროებითი თავშესაფრები უამინდობისაგან თავის დასაცავად. როცა ზოგიერთმა პალესტინელმა ქოხების აგება სცადა, მათი თავშესაფარი დამპყრობლებმა გაანადგურეს, ხოლო ადამიანებს სასტიკად სცემეს.

სამხრეთ ლიბანში პალესტინელები განწირულები არიან ნელი სიკვდილისათვის, აღნიშნავს სააგენტო. უელექტროდენოდ, უწყლოდ, ნორმალური კვების გარეშე ისინი სტიქიისა და ეპიდემიების მსხვერპლი ხდებიან.

დიდი ინტერესით

საქართველოს ექსპოზიციის წარმატება ჩეხოსლოვაკიაში

„საქართველოს მეცნიერება, …

ო. ნიკაბაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

შემოქმედებითი ახალგაზრდობის მეგობრობა

ლენინური პრემიის ლაურეატის ნ. დუმბაძის ნაწარმოების „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის" გმირებს გაიცნობენ კიეველი მაყურებლები. მოძმე რესპუბლიკის დედაქალაქის ლესია უკრაინკას სახელობის აკადემიური რუსული დრამატული თეატრის სცენაზე ამ ნაწარმოების მიხედვით სპექტაკლს დგამენ თბილისის ახალგაზრდული თეატრალური სტუდიის წარმომადგენლები.

კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დასადგმელად ამზადებენ სსრ კავშირის სახალხო არტისტის ო. თაქთაქიშვილის ოპერა „პირველ სიყვარულს".

თავის მხრივ საქართველოს და კერძოდ თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის რეჟისორები სულ უფრო ხშირად დგამენ უკრაინელ ავტორთა ნაწარმოებებს.

ორი მოძმე კულტურის წარმომადგენელთა ნაყოფიერი, ურთიერთგამამდიდრებელი თანამშრომლობის ესა და სხვა ფაქტები მოიყვანეს უკრაინისა და საქართველოს შემოქმედებითი ახალგაზრდობის დღეების საზეიმო გახსნაზე.

დღეების მონაწილეებმა 10 ნოემბერს რესპუბლიკის დედაქალაქში გვირგვინებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი, ეწვივნენ ხალხთა მეგობრობის მუზეუმს, ბავშვთა ქალაქ „მზიურს", დაათვალიერეს მცხეთა. მეტეხის ტაძარში ისინი შეხვდნენ შემოქმედებითი ახალგაზრდობის რესპუბლიკური ცენტრის წევრებს.

საქინფორმის კორესპონდენტმა რამდენიმე მოკლე ინტერვიუ ჩამოართვა დღეების მონაწილეებს.

ანდრია ხარიტონოვი, ა. დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდიის კინომსახიობი, უკრაინის სსრ ტარას შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი:

პირველად ვარ საქართველოში და მიხარია, რომ მასთან შეხვედრა და მისი გაცნობა ჩვენი რესპუბლიკების შემოქმედებითი ახალგაზრდობის დღეების ფარგლებში მიმდინარეობს. კინემატოგრაფში ჩემ პირველ წარმატებებს, რომლებიც დაკავშირებულია მრავალსერიიან ფილმ „კრაზანაში" მთავარი როლის შესრულებასთან, ვხსნი იმითაც, რომ ჩემზე, როგორც მსახიობზე, ქართულმა კინომ დიდი გავლენა იქონია. გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ მისი საუკეთესო ნაწარმოებები ჩემთვის ჭეშმარიტად შემოქმედებითი სკოლა იყო.

გურამ დოლენჯაშვილი, მხატვარი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი:

— 80 წლიდ მხვდა ვყოფილიყავი უკრაინისა და საქართველოს ...

... ამ უკანასკნელის ნაწარმოებები უკვე ვთარგმნე და მალე გამოქვეყნდება უკრაინულ ენაზე ახალგაზრდულ ჟურნალებში „დნიპროსა" და „მოლოდში". თავის მხრივ ქართველმა მეგობარმა... ...ისა და ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოებში, საქართველოს საწარმოებისა და მეურნეობების მშრომელებს გააცნობენ თავიანთ შემოქმედებით გეგმებს.

კოლმეურნეობათა საბჭოს პრეზიდიუმში

მეტი ყურადღება დავუთმოთ სოფლის ჯანმრთელობის კერების მშენებლობას

რით ავხსნათ ის ფაქტი, რომ დედათა და ბავშვთა პანსიონატის მშენებლობა მოვში გაუმართლებლად ჭიანურდება? 1978 წლიდან მოყოლებული მთელი გამოყოფილი სახსრების მეოთხედზე ნაკლებს ითვისებენ. ...

პრეზიდიუმმა არადამაკმაყოფილებლად ცნო „საქკოლხანმშენის" რესპუბლიკური გაერთიანებისა და მისი საქვეუწყებო ონის, სიღნაღის, ზუგდიდისა და თერჯოლის რაიონების საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოების ...

შეხვედრა სახლთან მესაზღვრესთან

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

ცხაკაია

გვატყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

ახალი, შესანიშნავი წარმატებებით ეგებებიან სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს ცხაკაიელი მშრომელები, რომლებიც რაიონული პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ზედიზედ აღწევენ გამარჯვებებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, სწორედ მათი ერთსულოვანი, ნაყოფიერი გარჯის შედეგად დღითი დღე უფრო შენდება და მშვენდება რაიონი, მისი ცენტრი. ამ ბოლო წლებში აქ ხაექსპლოატაციოდ გადაეცა სამრეწველო, სოფლის მეურნეობის, ხავაჭრო, საყოფაცხოვრებო, კულტურული მომსახურებისა თუ ჯანმრთელობის დაცვის მრავალი ობიექტი, სკოლები და სკოლამდელთა აღზრდის დაწესებულებები, სხვა ნაგებობანი.

● აშენდა ფაბრიკა

წლეულს რაიონის მეჩაიეებმა და ჩაის მრეწველობის მუშაკებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს: კრეფის სეზონის დასაწყისშივე ამოქმედდა ახალი ჩაის ფაბრიკა. ამ კეთილმოწყობილმა, თანამედროვე ტიპის საწარმომ, სადაც სამუშაოები მთლიანად მექანიზებულია, პრაქტიკულად მოსპო რაიონში ჩაის ფოთლის წარმოებასა და გადამუშავებას შორის არსებული დისპროპორცია.

ფაბრიკა წელიწადში 7 ათას ტონა ნედლეულს გადაამუშავებს. აღსანიშნავია, რომ აქ ჩაის ფოთლის ხმობა და ღნობა ორთქლის კალორიფერით წარმოებს, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს შრომის პირობებ- ...

საჩუქარი — ბავშვებს

ბაღი ნერგიდან იწყება



... წლებში მაღალხარისხოვანი ნერგის გამოყვანის ოსტატობას ისე დაეუფლნენ, რომ აქაურ ნერგზე დიდი მოთხოვნაა.

პირველი ნაბიჯები

საქართველო „სოვეტსკოე ფოტოს" ფურცლებზე

ჭადრაკი

წილისყრამ დაასახელა...

ლუცერნში ჭადრაკის ოლიმპიადაზე თამაშისაგან თავისუფალ დღეს მოეწყო მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩების მონაწილეების წყვილთა წილისყრა.

ვაჟები ასე დაწყვილდნენ: ჰიუბნერი — სმისლოვი, კასპაროვი — ბელიავსკი, რიბლი — ტორე, პორტიში — კორჩნოი. ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან პირველი — მესამე და მეორე — მეოთხე წყვილების გამარჯვებულები.

ქალთა მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალში ალექსანდრია შეხვდება ლემაჩკოს, მურეშანი — სემიონოვას, იოსელიანი — ლუ შილანს, გაფრინდაშვილი — ლევიტინას. ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან პირველი — მეოთხე და მეორე — მესამე წყვილების გამარჯვებულები.

ინფორმაცია

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:
რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-56, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:
მოსკოვი — 481-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-20-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-08-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-28-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.